ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 5

13.05.2022

დღის წესრიგი:

1. 2022 წლის 13 მაისიდან სასწავლო პროცესის წარმართვის ფორმატის საკითხი.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გაიმართა ონლაინ ზუმის პლატფორმაზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

სხდომის მდივანი: ასოც. პროფესორი ირინე ჟვანია

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები:

ლალი სურმანიძე, იამზე კუტალაძე, ვახტანგ ნადარეიშვილი

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, თამარ აბაშიძე, ლილი ხეჩუაშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე.

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორები: ზაქარია ქიტიაშვილი, რუსუდან სანაძე, იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმონადგენლები:
ანი კვირიკაშვილი, ამი ქიტიაშვილი, მარიამ ბარამიძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრებოდა **21 წევრი**

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს სხდომის დღის წესრიგი.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა დღის წესრიგის დამტკიცებას.

მომხრე: **21**

წინააღმდეგი: **0**

თავი შეიკავა: **0**

განიხილეს:

1. 2022 წლის 13 მაისიდან სასწავლო პროცესის წარმართვის ფორმატის საკითხი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ თსუ-ის და ფაკულტეტის საიტებზე განთავსებულია „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2021 წლის 2 აგვისტოს N128/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ” რექტორის ბრძანება (N 136/01-01; 11/05/2022), რომლის თანახმად: „13 მაისიდან სასწავლო პროცესი წარიმართოს შერეული (ჰიბრიდული) ფორმატით. საგანმანათლებლო პროგრამის, თუ მისი კომპონენტების წარმართვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტი აღნიშნული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი და დამატებითი გამოცდები წარიმართება არადისტანციურ, სრულად დასწრებით ფორმატში, გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე.“ პროფ. თ. გაგოშიძემ აქვე აღნიშნა, რომ უკვე 2 მაისიდან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესი აუდიტორიებში წარმატებით გაგრძელდა, ხოლო სააუდიტორიო მეცადინეობის პირველივე კვირაში ფაკულტეტზე შუალედური გამოცდების უმრავლესობა ჩატარდა აუდიტორიებსა და საგამოცდო ცენტრში. ამ რეალობიდან გამომდინარე, მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მიმართა წინადადებით, ემსჯელათ სასწავლო პროცესის ფორმატის შესახებ რექტორის ზემოთაღნიშნულ ბრძანებაში შესული ცვლილების გათვალისწინებით და სტუდენტთა საუკეთესო ინტერესებიდან და ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფესორებმა თ. აბაშიძემ და ი. ჟვანიამ გამოთქვეს მოსაზრება ჰიბრიდული სწავლების პრობლემებზე, პირველ რიგში, პროცესის ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებზე; ასოც. პროფ.-მა ხ. მარწყვიშვილმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი პერიოდის საერთაშორისო კვლევებით დასტურდება, რომ ჰიბრიდული სწავლება ბევრად უფრო არაეფექტური აღმოჩნდა სრულიად ონლაინ სწავლებასთან შედარებით. ასოც. პროფ.-მა ე. ფირცხალავამ ყურადღება გაამახვილა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების განწყობაზე სააუდიტორიო სწავლების მიმართ და აღნიშნა, რომ სტუდენტების უმრავლესობა პოზიტიურად არის განწყობილი და იმედოვნებენ, რომ სასწავლო პროცესი სააუდიტორიო რეჟიმში გაგრძელდება. ასოც. პროფ. ლ. ხეჩუაშვილი დაეთანხმა კოლეგას და ასევე აღნიშნა სტუდენტების უმრავლესობის მოლოდინი იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროცესიც და გამოცდებიც სააუდიტორიო რეჟიმში წარიმართება. სტუდენტებმა მარიამ ბარამიძემ და ამი ქიტიაშვილმა დაადასტურეს სტუდენტთა უმეტესობის პოზიტიური განწყობა სააუდიტორიო მეცადინეობების მიმართ და აქვე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია ფაკულტეტის მხრიდან განსაკუთრებულ სიტუაციაში მყოფი სტუდენტების ხელშეწყობა მათ სასწავლო პროცესში ჩასართველად. მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტებს, ინერციის ძალით, საკმაოდ უჭირთ 2 წლის შემდეგ ახალ გარემოებასთან შეგუება, მაგრამ, მათივე აღნიშვნით, ეს მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ცოცხალ სასწავლო პროცესს ვერაფერი შეცვლის.

საბჭოს წევრებმა აქვე აღნიშნეს ისიც, რომ არსებობენ სტუდენტები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო უჭირთ სააუდიტორიო სასწავლო ფორმატში ჩართვა. პროფ. თ. გაგოშიძის აღნიშვნით, ჩვენს ფაკულტეტს აქვს ამგვარი გამოცდილება ონლაინ რეჟიმის პერიოდშიც: თუ სტუდენტი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო ვერ ერთვებოდა საწავლო პროცესში, ვასწავლიდით ასინქრონულ რეჟიმში, ინდივიდუალური გრაფიკით - მას ეგზავნებოდათ დავალებები. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა - ასოც. პროფესორებმა ზ. ქიტიაშვილმა, ი. პეტრიაშვილმა, ლ. არუთინოვმა წამოჭრეს საკითხი კრიტერიუმების შესახებ, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ ინდივიდუალურ გეგმაზე სტუდენტის გადასაყვანად. მათი აზრით, მაგალითად ის, რომ სტუდენტი მუშაობს, არ უნდა იყოს ინდივიდუალურ გეგმაზე გადაყვანის მიზეზი. ასეთი მიდგომა გამართლებული იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტების მიმართ, ან იმათ მიმართ, ვისაც რთული ოჯახური გარემოება აქვს. პროფ. ლ. სურმანიძის თვალსაზრისით, სწავლების

პროცესში სტუდენტების ხელშეწყობა პროფესორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, მათ განცხადებაში ასახული კონკრეტული მიზეზების განხილვის საფუძველზე. საბოლოოდ, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ განხილულ უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული შემთხვევა. სტუდენტთა აზრით, ეს კარგი იდეაა, რომ სააუდიტორიო სასწავლო ფორმატში ჩართვის პრობლემის მქონე სტუდენტებმა განცხადებით შეიძლება მიმართონ დეკანს.

ასოც. პროფ.-მა რ. სანაძემ წამოჭრა მაგისტრების შემთხვევაში ონლაინ-სწავლების საკითხი იქედან გამომდინარე, რომ მათი უმრავლესობა მუშაობს და ხშირად სამუშაოს შემდეგ უნივრსიტეტში მოსვლა ურთულდებათ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო. საბჭოს წევრთა თვალსაზრისით, ასეთი მიდგომა იქნებოდა უსამართლობა ბაკალავრების მიმართ; მუშაობა და საცობები ქალაქში არ შეიძლება ონლაინ-სწავლების საფუძველი იყოს, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდელობლობით გათვალისწინებული არ არის ონლაინ-სწავლება. ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, საბჭომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად აღნიშნული საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. საბჭოს გადაწყვეტილებით, მაგისტრატურის სტიდენტებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბაკალავრიატის სტუდენტების მსგავსად, განცხადებით უნდა მიმართონ დეკანს საკითხის ინდივიდუალურად გადასაწყვეტად.

კენჭი უყარეს:

- ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესი გაგრძელდება სააუდიტორიო რეჟიმში.
- სააუდიტორიო სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ ფაკულტეტის ადმინისტრაციას.
- კონკრეტული განცხადებები ინდივიდუალურად განიხილება ადმინისტრაციის მიერ სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

მომხრე: **21**
წინააღმდეგი: **0**
თავი შეიკავა: **0**

დაადგინეს:

- ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესი გაგრძელდება სააუდიტორიო რეჟიმში.
- სააუდიტორიო სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ ფაკულტეტის ადმინისტრაციას.
- კონკრეტული განცხადებები ინდივიდუალურად განიხილება ადმინისტრაციის მიერ სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია